

იმერ ბასილაძე, ნინო ჭოხონელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

imeri.basiladze@atsu.edu.ge; nino.chokhnelidze1@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.10>

## სიბრძნის სამი საფეხური - თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების პრობლემა იან ამოს კომენიუსის დიდაქტიკურ ნაზრევში

საკვანძო სიტყვები: იან ამოს კომენიუსი, აიბრძნის სამი საფეხური

იან ამოს კომენიუსის დიდაქტიკურ ნაზრევში თავისებური გადაწყვეტა ჰქონდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრობლემამ. კომენიუსის პანსოფიაში პრაქტიკა გააზრებულია, როგორც სუბიექტის საქმიანობა ცალკე საგნების დასამზადებლად.

ნაშრომში „სქოლასტიკური ლაბირინტიდან სინათლეზე გამოსვლა“ კომენიუსი ვრცლად საუბრობს თეორიისა და პრაქტიკის სწავლების შესახებ და განმარტავს მათ როლს პიროვნების ფორმირების პროცესში. ის მიუთითებს, რომ აუცილებელია სკოლამ ასწავლოს: 1. თეორია, 2. პრაქტიკა და 3. ყველა კარგი და სასარგებლო საგნის მოხმარება“ [1, 1949:330]. კომენიუსი მიიჩნევს: თეორიის სწავლება იმიტომ არის საჭირო, რათა საგანთა შეცნობას დაბრკოლება არსად გადაედობოს, ხოლო პრაქტიკისა იმიტომ, რათა საგანთა შეცნობის კვალად „შეგვეძლოს კვლავ წარმოვქმნათ მათი მსგავსი საგნები. საგნის მოხმარებისა იმიტომ, რომ „გათვალისწინებული იქნეს ყოველი საგნის შესაფერისი გამოყენება“ [1, 1949: 330]. მიგვაჩნია, რომ პრობლემისადმი ასეთი მიდგომა ნაკარნახევია ეპოქის მოთხოვნილებით, რადგან სწრაფად დაწინაურდა მეცნიერების სხვადასხვა დარგები. წარმოების წესი შეიჭრა ცხოვრების ყველა სფეროში. თეორიულმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ მოითხოვა პარალელურად განვითარებულიყო პრაქტიკა.

კომენიუსს არ გამოპარვია ის ჭეშმარიტება, რომ ბუნება ნაკლებად ენდობა „სხვის თვალებს ანდა მოსაზრებებს საგანთა თეორიული შემეცნების შესახებ“ და რომ ბუნების უშუალო შესწავლა (შეცნობა) ათავისუფლებს ადამიანს „უსასრულო გაურკვევლობისა და ჰალუცინაციებისაგან“. პრაქტიკის მხრივ კი ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მას მხურვალედ სურს და ცდილობს თავად განახორციელოს ყოველივე, ვიდრე არ დაინახავს, რომ საგნები ემორჩილებიან მას და მის ხელში კარგი შედეგები გამოიღეს“ [1, 1949: 331].

კომენიუსისთვის მთავარია, რომ ცოდნა გონივრულად იქნეს გამოყენებული. ის, რომ ყოველმა მოსწავლემ თვითონვე შეისწავლოს ყველაფერი საკუთარი გრძნობებით, სინჯოს ყოველივე, გამოთქვას, გააკეთოს და დაიწყოს ყოველივეს გამოყენება. ამდენად, მოსწავლეებმა პრაქტიკაში უნდა გამოიყენონ ის, რაც სკოლაში თეორიულად და პრაქტიკულად შეიძინეს [1, 1949: 332].

კომენიუსის აზრით, ცოდნა (თეორიული და პრაქტიკული) დამოუკიდებლობის გზით მიღებული, აუცილებლად უნდა იყოს მტკიცე, საფუძვლიანი, თანდათანობითი,

ხშირი ვარჯიშით მიღწეული. „ჩემი მეთოდი - წერს კომენიუსი - გონებას ათავისუფლებს ყოველგვარი ლაბირინთებისგან და სთავაზობს მას ცოტას, მაგრამ აუცილებელს ცხოვრებისათვის...ცოტას, მაგრამ მტკიცედ ასათვისებელს ვარჯიშის მეშვეობით, ცოტას, მაგრამ ისეთს, რაც უზრუნველყოფს მის გამოყენებას საქმეში“ [1, 1949:332].

კომენიუსი აღნიშნავს, რომ ჯერ უნდა შევისწავლოთ, მივიღოთ ცოდნა, შემდეგ მოქმედება, ბოლოს მოხმარება, რომელსაც თან უნდა სდევდეს ცხოვრებისათვის საჭირო წესი - მოქმედების პერმანენტული გაუმჯობესება, როგორც ვარჯიშით, ისე ცოდნის გამდიდრებით.

ამდენად, კომენიუსის აზრით, თეორია წინ უნდა უსწრებდეს პრაქტიკას, პრაქტიკა ავსებდეს თეორიას, ხოლო ორივე ერთად უნდა მუშაობდეს ადამიანის საკეთილდღეოდ. ზემოთ თქმულის დასტურია კომენიუსის სიტყვები: „ადამიანებმა, პირველი, უნდა შეისწავლონ ცოდნა, მოქმედებანი და სიტყვა და, რომ პირველ ყოვლისა უფრო მეტად ისწავლონ შეცნობა, შემდეგ გონივრულად მოქმედება და ბოლოს ერთზედაც და მეორეზედაც ისაუბრონ. ამგვარად, აუცილებელია, რომ ცოდნა უსწრებდეს მოქმედებას, მოქმედება უნდა უსწრებდეს სიტყვას. პირველყოვლისა საჭიროა გონებათა განათლება, შემდეგ ხელების და ბოლოს, ენის [1, 1949:337-338].

კომენიუსი ასე ახასიათებს გონების როლს სინამდვილის შემეცნებაში: „ვინაიდან საგანთა შემეცნებაში გონება თანდათანობით მიდის წინ, ამიტომ, ჯერ ერთი, მან უნდა იცოდეს, რომ რაიმე არსებობს (ამას უწოდებენ უბრალოდ ცოდნას, ანუ გაცნობას); მეორე, რა არის ეს თავის მიზეზებით (ამას ეწოდება გაგება); მესამე, მან უნდა იცოდეს, როგორ გამოიყენოს თავისი ცოდნა, ე. ი. იცოდეს რისთვისაა სასარგებლო ეს ცოდნა. ამ თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია ყველგან [1, 1949:337-338].

კომენიუსი ახასიათებს სიბრძნის სამ საფეხურს (ავტოპსია, ავტოპრაქსია და ავტოხრესია), რომელის დადგენა გამოიხატება თეორიით, პრაქტიკითა და გამოყენებით. მათ სპეციალურ განმარტებას აძლევს და შემოაქვს რამდენიმე ბერძნული სიტყვა, რომელიც თვითონვე შეადგინა, როგორც კომპოზიტები. ეს სიტყვებია ავტოპსია, ავტოპრაქსია, სინკრიზისი, ავტოხრესია და ავტოფტეზია.

თითოეული მათგანის ახსნა მოცემული აქვს ცნობილ კომენლოგს პროფესორ ა. კრასნოვსკის. მისი განმარტებით ავტოპსია (თვითონ, სურვილი ვიხილო) კომენიუსთან გამოყენებულია, როგორც „ადამიანის ბუნებრივი მიღეომა, შესასწავლი რეალური მასალის დამოუკიდებლად ჭვრეტა და განხილვა [3, 1955: 626]. ხელოსნები თეორიულ მსჯელობაზე როდი შეაჩერებენ თავიანთ შეგირდებს, არამედ მაშინვე ჩააბამენ მუშაობაში, რათა ადვილად მიიყვანონ პრაქტიკამდე. „ადამიანი მხოლოდ გამოცდილების წყალობით ხდება ხელოვანი“ [2, 1949: 230-240].

მეორე ტერმინი „ავტოპრაქსია“ (თვითონ და ვაკეთებ) ეს არის პირადი საქმიანობა, რომელიც უახლოვდება თვითაქტივობას. მასში ხაზგასმულია პირადი ინიციატივის ელემენტი [3, 1955: 626].

ტერმინი ხრესისი ნიშნავს გამოყენებას, მოხმარებას, სარგებლობას, ხოლო ავტოხრესისი - დამოუკიდებელ გამოყენებას, დამოუკიდებელ მოხმარებას.

რაც შეეხება ტერმინ სინკრიზის, იგი ნიშნავს „უთანხმოებათა შერიგებას (მორიგებას) მათი ურთიერთდაპირისპირების გზით“ [3, 1955: 627].

ტერმინი ავტოფტეზია ნიშნავს დამოუკიდებელ შეგრძნებას [3, 1955: 627].

კომენიუსი მიიჩნევს, რომ სიბრძნის სამი საფეხურის (თეორია, პრაქტიკა, ხრესისი) შესწავლა საჭიროა თანდათანობით, მაგრამ თითოეული საფეხურისათვის დამახასიათებელი ხერხის გამოყენების დაცვით, რადგან: 1. თეორია გადაიჭრება საგანთა წარმოდგენით, ანალიზითა და ავტოპსიით; 2. პრაქტიკა მოითხოვს ნიმუშს, სინთეზსა და ავტოპრაქტიკას; 3. ხრესისი მოიცავს წესებს, სინკრიზისა და ავტოხრესიას [1, 1949:346].

თუ რას ნიშნავს სამივე საფეხურის ერთიანობა, მათ კომენიუსი დაწვრილებით განიხილავს: თეორია ეს არის ცოდნა, როგორც სიბრძნის პირველი საფეხური და თუ გურს რაიმე იცოდე (ცოდნა აქ ნიშნავს გაგებას, თუ რა როგორ ხდება, რანაირად, რამდენად, რისგან შედგება და ა. შ.) აუცილებელია სამი რამ გავაკეთოთ: 1. შევთავაზოთ მას შესასწავლი საგანი დაკვირვებისთვის მთლიანი სახით ყოველი მხრიდან, რაც საგანზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე კომენიუსის აზრით, ნიშნავს თეორიული ცოდნის მიღებას. ამ შემთხვევაში თეორია გადაიჭრება საგანთა წარმოდგენით; 2. საგანი მოსწავლის თვალწინ უნდა დავანაწილოთ ჯერ დიდ ნაწილებად, შემდეგ კი მცირე ნაწილებად, რათა გავიგოთ, თუ რისგან არის ის შედგენილი და აქვე თითოეულ შემადგენელ ნაწილს უნდა დავარქებათ თავის სახელი. ანალიზი ამ შემთხვევაში კომენიუსის აზრით, სინამდვილის შეცნობის საიმედო გზას წარმოადგენს; 3. შემსწავლელი პირადად უნდა ესწრებოდეს, რადგან ყოველივეს „სჭვრეტდეს, სულით შეიგრძნობდეს, ყნოსავდეს, გემოს უსინჯავდეს, ისმენდეს და თვითონვე წარმოთქვამდეს სახელწოდებებს“ [1,1949:347]). სწორედ ამ უკანასკნელს უწოდებს კომენიუსი ავტოპსიას, რომელიც როგორც აღვნიშნეთ ნიშნავს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებას, რომ დამოუკიდებლად განჭვრიტოს და იგრძნოს საკუთარი გონების კარნახით გარე სამყაროს მატერიალური საგანი.

პრაქტიკა ეს არის სიბრძნის მეორე საფეხური, რაც გულისხმობს რაიმეს გაკეთებას, ან რაიმეს შექმნას. ამ მიზნით, კომენიუსი სამი პირობის დაცვას გულისხმობს, თუ გვინდა ვინმეს რაიმეს გაკეთება, ან რაიმეს შექმნა ვასწავლოთ, კერძოდ: 1. შემსწავლელს უნდა ვუჩვენოთ ნიმუში, რაც მან უნდა გააკეთოს; 2. ვუჩვენოთ, როგორ კეთდება ის, დაწყებული სულ პატარა ნაწილებით და დამთავრებული, თუ როგორ შედგება დიდები, ვიდრე მისგან მთელი არ გამოვა. ეს არის ანალიზისა და სინთეზის კონკრეტული გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესში; 3. ვუჩვენოთ, როგორ უნდა მიბაძოს ყოველივეს და თვალყური ვადევნოთ, რომ „მიბაძვის დროს მცდარ გზაზე არ მოხვდნენ“ (კომენსკი 1949:348). თუ მაინც ვერ ასცდა მცდარ გზას, მაშინ საჭიროა გავუსწოროთ შემსწავლელს იმ დრომდე, ვიდრე არ შეისწავლის უშეცდომოდ კეთებას. ამას უწოდებს კომენიუსი ავტოპრაქტიკას - „საკუთრივ ვარჯიშობები“ ანუ პირადი საქმიანობა.

ხრესისი ეს არის გამოყენება, რომელიც სიბრძნის მესამე საფეხურს წარმოადგენს. იგი მოიცავს წესებს სინკრიზისა და ავტოხრესიის. აქაც კომენიუსი მოითხოვს სამი წესის დაცვას, თუ გვინდა, რომ შემსწავლელი გავხადოთ გონიერი მეცნიერებისა და ხელოვნების გამოყენებაში, კერძოდ: 1. შემსწავლელს უნდა მივცეთ მინიშნება წესების საშუალებით, თუ რას ემსახურება ეს საგანი. რადგან თუ არ ვიცით რა ფუნქციის მატარებელია ეს საგანი, მაშინ არ ვიცით თვით საგანი და მის გამოყენებას როგორ შევძლებთ? 2. უნდა მოვიშველით „სინკრიზისი“, შედარება იმისა თუ რომელი ცოდნით, ან ხელოვნებით სარგებლობაა ყველაზე კარგი და უკეთესი, ანდა პირიქით, რომელი ცოდნის ბოროტად გამოყენება არის ცუდი. პირველი იმისათვის, რომ მას მიბაძოს, ხოლო მეორე იმისათვის, რომ მას მოერიდოს [1, 1949: 348]. სინკრიზისი კომენიუსს წარმოდგენილი აქვს, როგორც უთანხმოებათა გადაწყვეტა, შეფასების საფუძველზე, სწორი გამოსავლის პოვნა ურთიერთ

შეპირისპირების საფუძველზე; 3. შემსწავლელს მივანიშნოთ, რომ „წაბაძოს სათნოებას და მოერიდოს ბიწიერებას ავტოხრესიის საშუალებით, ე. ი. გამოიყენოს უკვე შეძენილი ცოდნა მხოლოდ კეთილზე, რაც მიგვანიშნებს, რომ ცოდნა (თეორია) არაფრად ვარგა, თუ გამოყენება (პრაქტიკა) არა აქვს. ე. ი. გამოყენება (პრაქტიკა) ვერაფერს შეძლებს ცოდნის (თეორიის) გარეშე (კომენტკი 1949: 348). „ვინც მხოლოდ ხედავს, - წერს კომენიუსი, - სხვები რა კარგად სარგებლობენ საგნებით და არ ცდილობს თვითონაც მიბაძოს მათ, იგი ხელოვნებისმცოდნეობისაგან დაუხელოვნებელი დარჩება, მცოდნესაგან უცოდინარი; უფრო მეტიც, სწორად აზროვნების, ლაპარაკის, მოქმედების ნიჭის მქონეც ვი ამისათვის არ გამოდგება იმის გამო, რომ მათ სწორად გამოყენება არ ეცოდინებათ“ [1, 1949: 348].

იან ამოს კომენიუსის სიბრძნის სამი საფეხური სტრუქტურულად შეიძლება ასე გამოვსახოთ ცხრილის სახით:

|                          |   |
|--------------------------|---|
| თეორია (ცოდნა)           | ავტოპსია (თვითონ, სურვილი ვიზილო), რაიმე არსებობს (გაცნობა), რა არის ეს (გაგება), მასალის დამოუკიდებლად ჭვრეტა, განხილვა, რა რისგან შედგება (ანალიზი).  |
| პრაქტიკა (რაიმეს შექმნა) | ავტოპრაქტიკა („საკუთრივ ვარჯიშობები“ ანუ პირადი საქმიანობა), ნიმუშის მიცემა, თვითაქტივობა, პირადი ინიციატივა, ავტოფტეზია (დამოუკიდებელი შეგრძნება) დანაწევრება (ანალიზი), გამთლიანება(სინთეზი), რჩევა საჭიროების შემთხვევაში. |
| გამოყენება (ხრესისი)     | მინიშნება წესების საშუალებით- ხრესისი (გამოყენება, მოხმარება), ავტოხრესია (დამოუკიდებელი გამოყენება), სინკრიზისი (მორიგება, შეფასების საფუძველზე სწორი გამოსავლის პოვნა)  |

კომენიუსის დიდაქტიკურ ნააზრევში ნათლად ჩანს, რომ ის, როგორც პედაგოგი მოსწავლეებში ავითარებდა დამოუკიდებელად აზროვნების, დამოუკიდებლად მეტყველების, დამოუკიდებლად პრაქტიკული მოქმედებისა და მიღებული ცოდნის, ასევე დამოუკიდებლად გამოყენების უნარს.

ამრიგად, იან ამოს კომენიუსის სიბრძნის სამი საფეხური მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მან გააფართოვა სწავლა/სწავლების მნიშვნელობა თეორიიდან (ცოდნიდან) პრაქტიკამდე (რაიმეს შექმნამდე), საგნის გამოყენებამდე (ხრესისი) ანალიზის, სინთეზისა და შეფასების გზით. სიბრძნის სამივე საფეხური წარმატებით გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, გაკვეთილის დაგეგმვისა და შეკითხვების დასმის პროცესში. კომენიუსის სიბრძნის სამი საფეხური ეხმარება შემსწავლელს თანდათანობით განვითარებაში, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ხოლო მასწავლებელს

აძლევს საშუალებას შეაფასოს, თუ როგორ ვითარდება თანდათანობით მოსწავლე და როგორ იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. ჩვენი აზრით, სიბრძნის სამი საფეხური, ეს არის სისტემური გზა, ხერხი, საშუალება, თუ როგორ ვითარდება შემსწავლელის ცოდნა უდიდესით, მთელით - უმცირესისაკენ (ანალიზი) და უმცირესით - უდიდესისაკენ, მთელისაკენ (სინთეზი) და როგორ გამოიყენოს მიღებული ცოდნა პრაქტიკაში მოსწავლემ. სამივე საფეხური თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას წარმოადგენს და ისინი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

### ლიტერატურა:

1. კომენსკი 1949, კომენსკი იან ამოს., რჩეული ნაწერები, II, თბილისი, 1949.
2. კომენსკი 1949: კომენსკი იან ამოს, რჩეული ნაწერები, I, თბილისი, 1949.
3. კომენსკი 1955: კომენსკი იან ამოს., პედაგოგიური თხზულებანი, (რუსულ ენაზე), რედაქტორი პროფ. ა. კრასნოვსკი, მოსკოვი, 1955.

**Imer Basladze, Nino Tchokhonelidze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

imeri.basladze@atsu.edu.ge; [nino.chokhonelidze1@atsu.edu.ge](mailto:nino.chokhonelidze1@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.10>

## **"The Three Stages of Wisdom – The Problem of the Relationship Between Theory and Practice in Jan Amos Comenius' Didactic Reflections"**

### Abstract

The article discusses Jan Amos Comenius' three stages of wisdom (theory, practice, and application) and the problem of the relationship between theory and practice.

In his work "*From the Scholastic Labyrinth to the Light*", Comenius extensively talks about teaching theory and practice and explains their role in the process of shaping an individual. He emphasizes that schools must teach: 1. theory, 2. practice, and 3. the use of all good and useful subjects. Comenius argues that the teaching of theory is necessary so that the knowledge of things is not obstructed by any barriers, while practice is needed so that, following the recognition of things, "we can again create similar objects." The use of subjects is necessary "so that the appropriate application of every subject can be considered."

Comenius describes the three stages of wisdom (*autopsia*, *autopraxia*, and *autochresia*), which are defined by theory, practice, and application. He provides special explanations for these terms and introduces several Greek words that he himself created as compounds. These words are *autopsia*, *autopraxia*, *synkrisis*, *autochresia*, and *autophthesis*. Comenius believes that the study of the three stages of wisdom (theory, practice, and chresis) must be gradual, but with careful adherence to the methods characteristic of each stage. Specifically: 1. Theory is addressed through the representation of objects, analysis, and *autopsia*; 2. Practice requires examples, synthesis, and *autopraxia*; 3. Chresis encompasses rules, *synkrisis*, and *autochresia*.

In Comenius' didactic reflections, it is clear that, as an educator, he aimed to develop in students the ability to think independently, speak independently, act practically on their own, and use the knowledge they had acquired, as well as apply it independently.

Jan Amos Comenius' three stages of wisdom are important in that he expanded the significance of teaching/learning from theory (knowledge) to practice (creation of something) and to the application of the subject (chresis) through analysis, synthesis, and evaluation. These three stages of wisdom were successfully used in different countries, in the processes of lesson planning and question formulation. Comenius' three stages of wisdom assist the learner in gradual development, considering age-specific characteristics, while also giving teachers the opportunity to assess how the student is gradually developing and how they use theoretical knowledge in practice.

In our view, the three stages of wisdom represent a systematic path, a method, a tool for how the learner's knowledge develops from the greatest to the smallest (analysis), from the smallest to the greatest, from the part to the whole (synthesis), and how the student can apply acquired knowledge in practice. All three stages represent the unity of theory and practice, and they are interconnected.

**Key words:** Jan Amos Comenius, Three stages of wisdom